



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

ბრძანება №379



თბილისი

29 / შარტკაჯაძის ქ.

საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა კონკურსის პროგრამისა და გამსვლელი სატესტო ქულის ხარიერის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორების გადლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მაისის №105 ბრძანების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. განისაზღვროს საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა კონკურსის პროგრამა და გამსვლელი სატესტო ქულის ხარიერი (დანართი N1, დანართი N2);
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 11 სექტემბრის N1618 ბრძანება „საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა კონკურსის პირველი და მეორე ეტაპის პროგრამის დამტკიცების შესახებ“;
3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

თვა წულუკიანი

**საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა კონკურსის პირველი ეტაპის
პროგრამა და გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერი**

- ა) საქართველოს კონსტიტუცია;
- ბ) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპული კონვენცია;
- გ) „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენცია;
- დ) „სისხლის სამართლის საქმეებში ურთიერთდახმარების შესახებ“ 1959 წლის ევროპული კონვენცია;
- ე) „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენცია;
- ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (I, II და III თავები);
- ზ) „ოპერატიულ-სამშებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- თ) „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ი) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- კ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- ლ) „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

კონკურსის პირველი ეტაპი ითვლება წარმატებულად გავლილად, თუ სტაჟიორობის კანდიდატი შეთავაზებული 100 ტესტიდან მოაგროვებს 75 ან მეტ ქულას. კონკურსის შემდგომ ეტაპზე გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერი შეიძლება შეიცვალოს სტაჟირების გავლის კომისიის გადაწყვეტილებით.

**საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორთა კონკურსის მეორე ეტაპის
პროგრამა და გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერი**

წერილობითი კონკურსის (ტესტირების) მეორე ეტაპი - ზოგადი უნარების ტესტირება - შედგება ვერბალური (ლოგიკური, წინადადებების შევსება, ანალოგიები, სიტყვების ტესტი) და მათემატიკური ნაწილისაგან.

კონკურსის მეორე ეტაპი ითვლება წარმატებულად გავლილად, თუ სტაჟიორობის კანდიდატი შეთავაზებული 100 ტესტიდან მოაგროვებს 75 ან მეტ ქულას. კონკურსის შემდგომ ეტაპზე გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერი შეიძლება შეიცვალოს სტაჟიორების გავლის კომისიის გადაწყვეტილებით.